ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N14

ქ.თბილისი 21 თებერვალი, 2018 წელი

17[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე	თემურ გორგაძე
ლევან დავითაშვილი	ოთარ გრიგოლია
მარინა დათუკიშვილი	ზექა დავითულიანი
გიორგი დოხტურიშვილი	ლევან დარახველიძე
ირაკლი ზარქუა	თევდორე ისაკაძე
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ნინო ლაცაბიძე	ლილე ლიპარტელიანი
ქეთევან მამულაშვილი	გიორგი მუსხელიშვილი
ირაკლი ნადირაძე	თინათინ ნიბლოშვილი
შალვა ოგბაიძე	ელენე ოზაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	დათო ჟღენტი
დათო რურუა	რევაზ სოხაძე
თამარ ტალიაშვილი	დავით უთმელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე	დავით ჭელიძე
ვლადიმერ ძნელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	ილია ჯიშკარიანი
ჯაბა ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიგა გიგაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ირაკლი გვილავა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი რუსუდან მირზიკაშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ 15 თებერვალს, თბილისის მერმა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ვახტანგ ჯოხაძის კანდიდატურის წარადგენისას აღნიშნა, რომ ის არის პროფესიონალი და იზუნებს, რომ დედაქალაქში დასრულდეს ურბანული ქაოსი. თუმცა, გუშინ საკრებულოში შემოსული მასალის მიხედვით, აღნიშნულ თანამდებობაზე წარდგენილია რუსუდან მირზიკაშვილის კანდიდატურა, რომლის საწინააღმდეგო მას არაფერი აქვს, მაგრამ საინტერესოა რა შეიცვალა ამ დღეებში. მარინა დათუკიშვილის თქმით, ურბანული სამსახური, დედაქალაქის განვითარების და არსებული ურბანული ქაოტური განაშენიანების მოწესრიგების კუთხით, არის ძალიან მნიშვნელოვანი სამსახური და გამოთქვა მოსაზრება, რომ ნაჩქარევად გადაწყვეტილების მიღებას, ხომ არ აჯობებს ქალაქი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყოს ამ სამსახურის ხელმძღვანელის გარეშე და სამსახურის უფროსის დანიშვნაზე საკითხი მოიხსნას სხდომის დღის წესრიგიდან, რადგან ასე ქაოსურად, ხუთ დღეში მიღებული გადაწყვეტილება დედაქალაქში ურბანულ წესრიგს ვერ დაამყარებს და მიმართა საკრებულოს წევრებს „ქალაქს ნუ ჩავაგდებთ იმაზე უარეს მდგომარეობაში, ვიდრე არის დღეს“.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად, 22 თებერვლიდან მივიღებთ სტრუქტურულად და ფუნქციურად გამართულ მერიას, ყველა მუნიციპალური სერვისი, განხორციელდება ხარისხიანად, ხოლო გარემოს დაცვის, ტრანსპორტის და ურბანული განვითარების მიმართულებით რეორგანიზაციის შედეგად, გვექნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯები. რაც შეეხება მარინა დათუკიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, განმარტა, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე ადამიანის დანიშვნასთან დაკავშირებით, შესაძლებელია კანდიდატთან მოლაპარაკება არ შედგეს მისი კარიერული თუ სხვა გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, თუმცა ვახტანგ ჯოხაძესთან, როგორც პროფესიონალთან, რომელიც აქტიურად იყო ჩართული გენ.გემის შემუშავებაში, განვაგრძობთ საქმიან ურთიერთობას. რუსუდან მირზიკაშვილზე აღნიშნა, რომ მისი განათლება, კვალიფიკაცია და გამოცდილება იძლევა იმის ფიქრის საშუალებას, რომ ამ სფეროში იქნება მნიშვნელოვანი წარმატებები. ლევან ჟორჟოლიანი გამოეხმაურა თბილისის მერის ინიციატივას, რომელიც ეხება შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სანქციების ზრდას, აღნიშნა, რომ ნამდვილად საჭირო და დროულია ამ მიმართულებით რეგულაციები, აღნიშნული ინიციატივა დადებითად შეაფასა სამოქალაქო სექტორმაც და განაცხადა, რომ ყველა, ამის წინააღმდეგ მოყვანილი არგუმენტი, თუნდაც იდეოლოგიური, აზრს კარგავს, როდესაც საუბარია ადამიანის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე. მართალია, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკის ზრდა, თუმცა არა ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხარჯზე.

დავით უთმელიძემ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხზე განაცხადა, რომ ის არათუ დღის წესრიგიდან უნდა ამოვიღოთ, არამედ მხარი უნდა დავუჭიროთ წარდგენილ კანდიდატს, რომლის კომპეტენციაში დარწმუნებულია თბილისის მთავრობაც და საკრებულოც. მისი თქმით, იმისთვის, რომ განხორციელდეს ქალაქის მიზნები და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ წინასაარჩევნოდ გაცხადებული დაპირებები, აღნიშნულმა სამსახურმა რაც შეიძლება დროულად უნდა დაიწყოს სრულფასოვანი ფუნქციონირება.

გიროგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ რუსუდან მირზიკაშვილის კანდიდატურა ნამდვილად შეეფერება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობას, ის წლების განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა ქვეყნის საკეთილდღეოდ, მერის მხრიდან მისი კანდიდატურის წარმოდგენა მართებულია და დარწმუნებულია, რომ საკრებულო მხარს დაუჭერს.

გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარმოდგენილ კანდიდატზე და აღნიშნა, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მხარს უჭერს ირაკლი გვილავას კანდიდატურას, რადგან მიაჩნია, რომ მისი პიროვნული თვისებები და გამოცდილება აღნიშნულ თანამდებობაზე იქნება ეფექტური და შედეგიანი. დარწმუნებულია, რომ ირაკლი გვილავა ღირსეულად გაართმევს თავს სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, დედაქალაქში დაგეგმილი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, კერძოდ: 2018 წელს სამი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის დაწყებას, სპორტული კლუბების წახალისებას და იმ წარმატებული სპორტსმენი ახალგაზრდების დაფინანსებას, რომლებიც მიიღებენ შესაბამის შედეგებს საერთაშორისო ტურნირებზე. გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, დღეს, თბილისში ახალგაზრდობა და სპორტი ისეთი წახალისებულია, როგორც არასდროს და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვის შეეცდებიან, რომ ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია დედაქალაქში იყოს უმაღლეს დონეზე, რადგან ამ კუთხით ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ ვახტანგ ჯოხაძე ნამდვილად კარგი, გამოცდილი და პროფესიონალი კადრია, რომელთან მუშაობის სურვილი ჰქონდა თბილისის მთავრობას, თუმცა ის კერძო სექტორში საქმიანობს და რადგან ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მუშაობა ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს კერძო სექტორში მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მან, ამ ეტაპზე, თავი შეიკავა აღნიშნული თანამდებობის დაკავებისგან. ირაკლი ხმალაძემ იმედი გამოთქვა, რომ კერძო სექტორთან მჭიდრო კომუნიკაციიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი მაინც მოახერხებს მისი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებას და სხვადასხვა ურბანული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისევე, როგორც ამ მიმართულებით მომუშავე ექსპერტებთან, ვახტანგ ჯოხაძესთანაც გაგრძელდება თანამშრომლობა. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა რუსუდან მირზიკაშვილზე და განაცხადა, რომ ის საკმარისზე მეტად პასუხობს იმ მოთხოვნებს და გამოწვევებს, რომლებიც დღეს, ამ მიმართულებით, დგას მუნიციპალიტეტის წინაშე. აქვე აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომ უმჯობესია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური ცოტა ხანი იყოს უფროსის გარეშე, რადგან, გარდა იმისა, რომ 22 თებერვლიდან ურბანული ფუნქციები გამოდის არქიტექტურის სამსახურის კომპეტენციიდან და ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე საჭიროა გადაწყვეტილების მიღება, აღნიშნულ თანამდებობაზე წარმოდგენილია საკმაოდ ღირსეული კანდიდატი.

მარინა დათუკიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსუდან მირზიკაშვილის საწინააღმდეგო არაფერი აქვს და არც მისი ბიოგრაფია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ შორს არის ამ კონკრეტული სპეციფიკიდან, საუბარია „მერიის უპასუხისმგებლობაზე“ - ვახტანგ ჯოხაძის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენისას არ იყო ცნობილი, რომ ის კერძო სექტორში საქმიანობითაა დაკავებული და რომ ეს შეუთავსებელია საჯარო სამსახურთან. განაცხადა, რომ მთავრობის სხდომა, რომელიც ყოველთვის იმართება ოთხშაბათობით, ჩატარდა სამშაბათს მხოლოდ იმიტომ, რომ სხდომაზე გასულიყო რუსუდან მირზიკაშვილის კანდიდატურა და მიმართა ირაკლი ხმალაძეს „არ შეიძლება ასეთი მიდგომები, მგონია, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა მოგეთხოვებათ“.

ირაკლი ხმალაძემ უპასუხა მარინა დათუკიშვილს, რომ მთავრობის სხდომა სამშაბათს ჩატარდა არა მის მიერ დასახელებული მიზეზის გამო, არამედ იმიტომ, რომ თბილისის მერი

დღეიდან იმყოფება მივლინებაში და არ არის საქართველოში. აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობას ბევრი გადაწყვეტილების მიღება მოუწია შემჭიდროვებულ ვადებში, ვინაიდან კანონმდებლობით, რეორგანიზაციის ვადა განსაზღვრულია სამი თვით და ახლადარჩეული მერის და მთავრობის მიერ სამ თვეში სტრუქტურული რეფორმის ჩატარება არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა.

რევაზ სოხაძის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქალაქს ეყოლება ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი, რომლის გამოცდილება უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და იმედი გამოთქვა, რომ ქალაქში ამ მიმართულებით გაკეთდება აქცენტები და პრიორიტეტული იქნება ისტორიული უბნების აღდგენა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ იგი სამი თვეა მუშაობს ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. რეორგანიზაციის შედეგად, უქმდება აღნიშნული სამსახური, ხოლო მის ფუნქციებს შეითავსებს ახლადშექმნილი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, რომლის უფროსის თანამდებობაზე წარმოდგენილია გიგა გიგაშვილის კანდიდატურა, იქიდან გამომდინარე, რომ მისი მუშაობა სამი თვის განმავლობაში იყო წარმატებული და დადებითი შედეგების მომტანი.

ირაკლი ნადირაძემ დავით ნარმანიას დაპირებას მილიონი ხის დარგვასთან დაკავშირებით „ფარსი და ტყუილი“ უწოდა და ისაუბრა ნარგავებთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურის დასკვნაზე. მისი თქმით, ქალაქის ბიუჯეტს მიადგა კონკრეტული ზიანი და დაინტერესდა აქვს თუ არა გიგა გიგაშვილს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა თანხაზე ან რამდენ ნერგზეა საუბარი, რა არის დაგეგმილი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ეთანხმება თუ არა დავით ნარმანიას მიდგომას, რომ „ჯობდა დარგულიყო მილიონი პატარა ჩხირი, ვიდრე 20 ან 30 ათასი გაზრდილი ხე?“ ასევე, დაინტერესდა როგორია მისი ხედვა ქალაქის გამწვანებასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა შემუშავებული კონცეფცია ე.წ. „ჯიბის პარკების და მინი სკვერების“ მოწყობაზე.

მარინა დათუკიშვილმა გაიხსენა, რომ გიგა გიგაშვილი 5 თებერვალს არ მივიდა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სხდომაზე და დაინტერესდა, რატომ მისცა თავს უფლება დაერღვია საკრებულოს რეგლამენტი, რომლის თანახმად, მოთხოვნის შემთხვევაში, მისი ვალდებულებაა ფრაქციის სხდომაზე მისვლა და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა ენდონ თბილისელები, რომლების ხმას თბილისის საკრებულოში წარმოადგენენ საკრებულოს წევრები და მათი მხრიდან გაჟღერებული კითხვები, თბილისელების მხრიდან გაჟღერებული კითხვების ტოლფასია.

თამარ ტალიაშვილმა თბილისის ზღვის უბნის დასახლების მაცხოვრებლების სახელით, გიგა გიგაშვილს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ის დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მათ თხოვნას თემქის ხევის გამწვანებასთან დაკავშირებით და წარუდგინა რეკრეაციული ზონის განვითარების სწორი სტრატეგიული ხედვა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ, როგორც ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, გიგა გიგაშვილთან ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა და შეუძლია თქვას, რომ მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი არის პრინციპული და კოლეგიალური. მან ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ 28 ოჯახს გადაუწყვიტა ათწლიანი პრობლემა - ეს ადამიანები ცხოვრობენ ქირით და ვერ ხერხდებოდა კონკრეტულ ადგილას საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ხოლო ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის კომპეტენტური ქმედებების შედეგად, უახლოეს მომავალში დაიწყება პროექტის განხორციელება. რამინა ბერაძემ ისაუბრა რუსუდან მირზიკაშვილზე და აღნიშნა, რომ მისი კანდიდატურა, ბიოგრაფიიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ თანამდებობაზე მისასალმებელია და წარმატებები უსურვა მას.

ერეკლე კუხიანიძემ გიგა გიგაშვილზე აღნიშნა, რომ ის არის გონიერი, მოწადინებული, საქმეში ღრმად ჩახედული ახალგაზრდა და წარმატებები უსურვა.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ შავნაბადას მთაზე, გოლფის მოედნების მოწყობის მიზნით, მიმდინარეობს ხე-ტყის გაჩეხვა. გასაგებია, რომ კერძო ინვესტიციაა და ნებართვები, როგორც ხე-ტყის მოჭრაზე, ასევე მშენებლობაზე გაცემულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს არის თბილისის ქარსაცავი ზონა, რომლის ხელოვნური განაშენიანება მოხდა 70-იან წლებში და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ქარსაცავი ზოლის ახალი ხეებით ჩანაცვლება.

ირაკლი ხმალაძემ აუდიტის დასკვნაზე განმარტა, რომ გამოქვეყნებულია და შესაბამისი მსვლელობაც აქვს მიცემული და აქედან გამომდინარე, გაუგებარია თუ რატომ უნდა პასუხობდეს ამ თემაზე კითხვას გიგა გიგაშვილი, ხოლო რაც შეეხება დღევანდელი

ხელისუფლების ხედვას ზოგადად გამწვანების და ეკოპოლიტიკის მიმართულებით, პასუხს გასცემს დედაქალაქის მთავრობის ახლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა და გარემოს დაცვის სამსახურის ფუნქციების გარდაქმნა.

გიგა გიგაშვილმა აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე განმარტა, რომ სამსახურის მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გაკეთებულ ოფიციალური მიმართვაში მითითებულია, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება შემდგომ საქმიანობაში და ისინი უკვე გათვალისიწნებულია ყველა დაგეგმილ პროექტში. ფრაქციის სხდომაზე არდასწრებაზე განაცხადა, რომ ამ საკითხზე მანამდე გამართულ ფრაქციის სხდომას დაესწრო შესაბამისი პირი, რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია, ხოლო თავად არ ყოფილა ჩართული გენ.გემის შემუშავების პროცესში და შესაბამისად, მისი დასწრება ფრაქციის სხდომაზე არ იყო სავალდებულო. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს და პროექტებს, აღნიშნა, რომ ისინი, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის სახით, წარმოდგენილი იყო საკრებულოს წინა სხდომაზე და ასევე, თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებულია თბილისის კლიმატისთვის და ურბანული გარემოსთვის შესაფერისი ხე-მცენარეების სია, რომლითაც უნდა განაშენიანდეს მწვანე ინფრასტრუქტურა. შავნაბადას მთაზე მშენებლობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უმჯობესია მშენებლობის დაკონკრეტება, რადგან თუ საუბარია, ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლუატაციისთვის და ნავთობსადენი მილის გაყვანის მიზნით მიმდინარე მშენებლობაზე, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი კომპანიები, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა ქარსაფარი ზოლის გაჩეხვას, არამედ სპეციალურ ჭრებს, რომელიც მიმდინარეობს კანონის ფარგლებში, ხოლო, რაც შეეხება საკომპენსაციო ღონისძიებებს, გათვალისწინებულია არა მხოლოდ ამ, არამედ ყველა სამშენებლო პროექტზე, რომელიც ზემოქმედებს მწვანე ნარგავებზე.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ გენ.გეგმის შემუშავებაში მოიაზრება, როგორც არქიტექტურის, ასევე გარემოს დაცვის და ტრანსპორტის სამსახურების ჩართულობაც და გიგა გიგაშვილიც სწორედ იმიტომ იყო მიწვეული ფრაქციის სხდომაზე, რომ მისგან ინფორმაციის მიღება იყო მნიშვნელოვანი და მიმართა მას „თქვენ რა ჩათვალეთ საჭიროდ, აბსოლუტურად არ არის რელევანტური... არ გვაინტერესებს თქვენ რას თვლით საჭიროდ... ვალდებულებაა და ნება იბოძეთ და ეს ვალდებულება შეასრულეთ".

ირაკლი ნადირაძემ, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მიიღო კითხვაზე პასუხი, კიდევ ერთხელ დაინტერესდა გიგა გიგაშვილის, როგორც ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის პირადი პოზიციით იმასთან დაკავშირებით, „იყო თუ არა შეცდომა დავით ნარმანიას მიერ გაცხადებული მილიონი ხის ნაცვლად, მილიონი ჩხირის დარგვა და ხომ არ იქნებოდა უკეთესი და უფრო რაციონალური, რომ მილიონი ჩხირის ნაცვლად დაერგო თუნდაც 10 ათასი ან 20 ათასი ნორმალური, გაზრდილი ხე, როგორც ხდება ეს ცივილიზებულ ქვეყნებში და ქალაქებში."

გიგა გიგაშვილმა უპასუხა ირაკლი ნადირაძეს, რომ ის არ აკეთებს პოლიტიკურ შეფასებებს, ხოლო რაც შეეხება, მწვანე სივრცეების განაშენიანების მიმართულებით ხედვას, ამასთან დაკავშირებით, ხედვაც და სტრუქტურაც წარმოდგენილი იყო საკრებულოს წინა სხდომაზე.

ლილე ლიპარტელიანმა შავნაბადას მთაზე მიმდინარე ხე-ტყის ჭრაზე დააკონკრეტა, რომ საუბარია ქარსაცავ ზოლზე, რომლის განაშენიანება მოხდა ხელოვნურად, 70-იან წლებში, ხოლო ეხლა მიმდინარეობს გოლფის მოედნების მშენებლობა და არსებული ტყე მასიურად განადგურებულია.

გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს იქ არსებულ ბიომრავალფეროვნებას, თავისთავში აუცილებლად უნდა მოიცავდეს საკომპენსაციო ღონისძიებებს, რომელიც პროექტის შედეგად მოსალოდნელი ზიანის ადეკვატური იქნება. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული იქნება ყველა საკომპენსაციო ღონისძიება, მათ შორის 100%-ით იქნება აღდგენილი ქარსაცავი ზოლიც, რომელსაც შეიძლება მიადგეს ზიანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ ირაკლი გვილავა უკვე რამდენიმე წელია იკავებს განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობს, ის გამოირჩევა ეფექტური პროფესიული თვისებებით და მისი საქმიანობა კარგად არის ცნობილი საკრებულოს თითოეული წევრისთვის.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია ერთხმად უჭერს მხარს წარმოდგენილ კანდიდატს, რომელთანაც უკვე რამდენიმე წელია კომისიას წარმატებული საქმიანი ურთიერთობა აქვს. მისი თქმით, ირაკლი გვილავა გამოირჩევა განსაკუთრებულად კარგი კომუნიკაციით. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტები იძლევა იმედს, რომ მომავალი საქმიანობაც იქნება წარმატებული და ეფექტურად განხორციელდება არაერთი ინოვაციური და კრეატიული პროექტი.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ცვლილება შევიდა სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებაში და თუ აქამდე ისინი ფინანსდებოდნენ სრულად, ეხლა დაფინანსება მოხდება აკადემიური მოსწრების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ დაფინანსდებიან მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სოციალურად დაუცველი სტუდენტები და დაინტერესდა, რატომ შეიცვალა დაფინანსების წესი უარესობისკენ და რა იგეგმება ამ მიმართულებით.

რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ ირაკლი გვილავა, საკრებულოს წევრობის პერიოდში, გამოირჩეოდა აქტიურობით, ორგანიზაციული ნიჭით, ენერგიულობით, პასუხისმგებლობით და ფიქრობს, რომ მისი დანიშვა წარმოდგენილ თანამდებობაზე მისთვის იქნება ახალი გამოწვევა და კრეატიული და კარგი გეგმების განხორციელების შესაძლებლობა. რამინა ბერაძემ ისაუბრა სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების თითქოს შემცირებაზე, განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან, არსებულ 50%-იან დაფინასებას სტუდენტის აკადემიური მოსწრების მიხედვით, ემატება დაფინანსება.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ თუ აქამდე სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებისთვის მაქსიმალური ზღვარი იყო 50%, ცვლილებების შედეგად, მათ ეძლევათ შანსი, აკადემიური მოსწრების მიხედვით, მიიღონ 100%-იანი დაფინანსება.

ლილე ლიპარტელინმა განაცხადა, რომ გასაგებია ის, რომ სტუდენტებს, აკადემიური მოსწრებით და წარჩინებული სწავლით, შეუძლია მიიღოს 100%-იანი დაფინანსება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, სწავლასთან ერთად, უწევთ მუშაობა და დაინტერესდა, რატომ უფინანსდებათ სწავლა 30%-ით ასეთ სტუდენტებს.

გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება აქამდე იყო 50%, ხოლო ეხლა მათ ეძლევათ შესაძლებლობა წარჩინებული სწავლით და მაღალი აკადემიური მოსწრებით, მიიღონ 100%-იანი დაფინანსება.

თემურ გორგაძე დააფიქსირა პოზიცია, რომ მხარს უჭერს ირაკლი გვილავას კანდიდატურას წარმოდგენილ თანამდებობაზე. გაიხსენა ირაკლი გვილავას ხელმძღვანელობით, ზემო

ფონიჭალაში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის გახსნა, რომლითაც კმაყოფილია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ცენტრში დასაქმებული ახალგაზრდობა და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ირაკლი გვილავა კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს.

ირაკლი ნადირაძემ წარმოდგენილ კანდიდატებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური იყო ერთიანი, თუმცა მას შემდეგ, რაც დავით ნარმანიას გახდა თბილისის მერი, ეს სამსახური გაიყო და ბექა დავითულიანს, როგორც საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარეს, მიმართა კითხვით „დღეს ამ სამსახურის ისევ გაერთიანება ნიშნავს თუ არა აღიარებას, რომ შეიძლება მისი ერთ სამსახურად ფუნქციონირება და ნიშნავს თუ არა, რომ თბილისელების ასობით ათასობით ლარი იყო გაფლანგული დამატებით ბიუროკრატიაში და ეს ადასტურებს თუ არა იმას, რომ თავის დროზე ეს სამსახური გაიყო მხოლოდ იმიტომ, რომ კახა კალაძეს დაენიშნა თავისი უდიპლომო ცოლისძმა ამ სამსახურის უფროსად".

ბექა დავითულიანმა უპასუხა ირაკლი ნადირაძეს, რომ ეს არის მენეჯმენტის საკითხი - დავით ნარმანიას მიაჩნდა, რომ მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელებისთვის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულება უნდა ყოფილიყო ცალკე, ხოლო კულტურის მიმართულება ცალკე, ხოლო დღევანდელი მენეჯმენტი თვლის, რომ უფრო ეფექტური მართვა იქნება ამ სამსახურების გაერთიანება. განაცხადა, რომ გაუგებარია რა შუაშია კახა კალაძის ცოლისძმა და მიმართა ირაკლი ნადირაძეს „თუ ისეთი ნეპოტისტები ვართ, რომ ვისაც სადაც გვინდა იქ ვნიშნავთ, გაერთიანებული სამსახურის უფროსად დავნიშნავდით და არ გავყოფდით მაგის გამო. თქვენ, მგონი, რაღაც საოცრების თქმა გინდათ, ოღონდ უკან არაფერი უდგას შინაარსობრივი".

თამარ ტალიაშვილმა სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესზე განაცხადა, რომ მათი მდგომარეობა არათუ გაუარესებული, არამედ გაუმჯობესებულია, რადგან, გარდა საბაზისო 50%-იანი დაფინანსებისა, მიეცათ შანსი, კრედიტების და ქულების რაოდენობიდან გამომდინარე, მიიღონ უფრო მაღალი დაფინანსება. თამარ ტალიაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია მიესალმება კულტურის და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების გაერთიანებას.

გიორგი ბირბიჩაძემ წარმატებები უსურვა ირაკლი გვილავას და განაცხადა, რომ ის არის პროფესიონალი, რომელიც, ამ თანამდებობაზე ყოფნისას, გააკეთებს ბევრ სასიკეთო საქმეს. ასევე გამოეხმაურა კოლეგებს, რომლებიც ამბობენ, რომ „საუბრობენ ხალხის სახელით" და განაცხადა რომ მისი აზრით, „ისინი ძალიან დაცილებული არიან ხალხისგან", რადგან ამბობენ, რომ ცუდია სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსების გაზრდა, საყოველთაო ჯანდაცვა და რომ დღევანდელ ხელისუფლებას ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში არც ერთი სასიკეთო რეფორმა არ განუხორციელებია.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ ბოლო წლებში თბილისში უეფას სუპერთასის და ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩატარება იყო ქალაქისთვის უპრეცედენტო და იმ მოცემულობაში, კონკრეტულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ მენეჯმენტის კუთხით, უკეთესი იქნებოდა ამ სამსახურების ცალ-ცალკე არსებობა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2015-2017 წლებში 6500 სოციალურად დაუცველი სტუდენტი დაფინანსდა 100%-მდე თანხით, რაც „ქართული ოცნების" გუნდის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირებაა. მისი თქმით, როგორც თბილისის საკრებულოს დღევანდელი შემადგენლობა და ასევე მერია, იმოქმედებს მხოლოდ ქალაქისთვის საჭირო მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე და არა კონკრეტული, ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის. გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ ირაკლი გვილავა არის შესანიშნავი ახალგაზრდა და წარმოდგენილი კონფიგურაციის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე იქნება წარმატებული.

ლილე ლიპრტელიანმა განაცხადა, რომ მან კითხვით მიმართა არა თამარ ტალიაშვილს და რამინა ბერაძეს, არამედ ირაკლი გვილავას და სწორედ მისგან ითხოვს პასუხს კითხვაზე, თუ

რამდენი პროცენტით ფინანსდება საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების სოციალურად დაუცველი სტუდენტი.

ირაკლი ნადირაძემ კითხვით მიმართა გიორგი ტყემალაძეს, თუ შეიძლება, რომ მერიაში სამი ამხელა სამსახური იყოს გაერთიანებული, რატომ არ შეიძლება იგივე მიმართულებების კომისიების გაერთიანება საკრებულოში.

გიორგი ტყემალაძემ უპასუხა ირაკლი ნადირაძეს, რომ შეუძლებელი არაფერია, მთავარია, როგორ მოგვაჩნია სწორად - იყო ეტაპი, როდესაც მერს მიაჩნდა, რომ ამ სამსახურების ერთმანეთისგან განცალკევება იქნებოდა უკეთესი, ხოლო დღევანდელმა მერმა, გადაწყვიტა, რომ მენეჯმენტის თვალსაზრისით, უმჯობესი იქნება სამსახურების გაერთიანება. რაც შეეხება საკრებულოს კომისიებს, გადაწყვეტილება მიღებული იქნება იმის მიხედვით, თუ რა იქნება უკეთესი მენეჯმენტის თვალსაზრისით. ხოლო თუ საუბარია ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვაზე, ამ მიმართულებით სერიოზული სხვაობა ვერ იქნება, რადგან, რეორგანიზაციის შემთხვევაშიც კი, ვერ გაუქმდება ის საშტატო ერთეულები, რომელიც გაწერილია კომისიების სამდივნოებში.

გიორგი ჩაკვეტაძემ, განათლებისა და კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებაზე განაცხადა, რომ აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, ხოლო რაც შეეხება დამატებით ბიუროკრატიას, საკრებულოში კომისიების რაოდენობა განსაზღვრულია საკრებულოს რეგლამენტით და მოქმედი კანონმდებლობით.

მარინა დათუკიშვილმა გაიხსენა საკრებულოს წევრების შეთანხმება, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, ოპოზიციის ჩართულობით, რომელიც იმსჯელებს რეგლამენტში განსახორციელებელ ცვლილებებზე და დაინტერესდა რა იგეგმება ამ მიმართულებით.

გიორგი ტყემალაძემ უპასუხა მარინა დათუკიშვილს, რომ შეგვიძლია გავუკეთოთ ორგანიზება, ორშაბათს შევიკრიბოთ ინტერფრაქციულად და რეგლამენტში განსახორციელებელ ცვლილებებზე მოსაზრებები გავუაზიაროთ ერთმანეთს.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლბათა დაცვის კომისიას აქვს გარკვეული მოსაზრებები, რეგლამენტთან დაკავშირებით და გამოთქვა მზადყოფნა, ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად იმსჯელოს ამ საკითხზე.

გიორგი ტყემელაძემ აღნიშნა, რომ ირაკლი გვილავა წლების განმავლობაში იყო საკმაოდ საპასუხისმგებლო სამსახურის უფროსი და წარმატებები უსურვა მას.

ირაკლი გვილავამ საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა შეფასებებისთვის და ლილე ლიპარტელიანის კითხვაზე განმარტა, რომ სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების პროგრამა შეიქმნა ორი წლის წინ, პირველ ეტაპზე, სოციალურად დაუცველი ყველა სტუდენტი ფინანსდებოდა 50%-ით, ხოლო ამ ეტაპზე, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის მიხედვით, მოხდება დაფინანსების დამატება და შესაძლებელია ის გახდეს 70 ან 100%.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა ირაკლი გვილავას, რომ გადასცემს დაფინანსების წესს, რომლის მიხედვით, საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების სოციალურად დაუცველი სტუდენტები ფინანსდებიან 30%-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ პროფესიით არის არქიტექტორი, აქვს თექვსმეტწლიანი სამუშაო გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, წარმოდგენილ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა შესაფერისია და დადებითად წაადგება ქალაქის ურბანულ განვითარებას.

მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ 2013 წელს, როდესაც ერთ-ერთმა კომპანიამ კულტურის სამინისტროს მიმართა საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის თხოვნით, რუსუდან მირზიკაშვილი მუშაობდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში და დაინტერესდა, თვლის თუ არა რუსუდან მირზიკაშვილი მართებულად მიღებულ გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც „ვანდალურად ააფეთქეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“.

მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ რუსუდან მირზიკაშვილის კანდიდატურა, განვლილი კარიერიდან გამომდინარე, ძალიან საინტერესოა, წარმატებები უსურვა და იქიდან გამომდინარე, რომ მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო ისტორიულ ქალაქებთან, მიმართა კითხვით, გარდა იმ პროექტებისა, რაც უკვე დაგეგმილია, როგორი იქნება მისი ხედვა, ზოგადად, ისტორიულ უბნების და შენობების დაცვის კუთხით.

ირაკლი ნადირაძემ რამდენიმე კითხვით მიმართა რუსუდან მირზიკაშვილს, კერძოდ: იცნობს თუ არა გენ.გეგმის პროექტს და აქვს თუ არა მის მიმართ რაიმე შენიშვნები და მოსაზრებები; საშენებლო კოეფიციენტების გადამეტების და ზონალური ცვლილებების შესახებ საკითხები ურბანული განვითარების სამსახურის პრეროგატივა იქნება თუ არქიტექტურის სამსახურის; როგორია მისი პირადი პოზიცია, იმასთან დაკავშირებით რომ „ამ ქალაქში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს კოეფიციენტების გაყიდვის მავნე პრაქტიკა“; რამდენად პრინციპული იქნება ზონალურ ცვლილებებთან დაკავშირებით და ზოგადად, არის თუ არა მზად, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს კერძო ინტერესებს, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის პირად ინტერესს.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ რუსუდან მირზიკაშვილის საქმიანობას იცნობს იმ დროიდან, როდესაც ის მუშაობდა „ურბან რეაქტორში“, რომლის მიერ ურბანისტიკის და არქიტექტურის თემებზე ნათარგმნი ბევრი კარგი წიგნი შეიძინეს ქართველებმა და ამისთვის მადლობა გადაუხადა. დააფიქსირა პოზიცია, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილ კანდიდატს და წარმატებები უსურვა მას.

ლილე ლიპარტელიანმა რუსუდან მირზიკაშვილს მიმართა რამდენიმე კითხვით, კერძოდ: გაეცნო თუ არა რუსუდან მირზიკაშვილი გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნების რეაბილიტაციის პროექტებს და როგორი იქნება მისი შეფასება და იგეგმება თუ არა საჯარო განხილვები ამ პროექტებთან დაკავშირებით; რას ფიქრობს თაბორის მთაზე განსახორციელებელ პროექტზე და ყოფილი ცეკავშირის შენობის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობაზე; არის თუ არა მზად იმისთვის, რომ მოუწევს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ძნელად ან საერთოდ ვერ შეიცვლება გრძელვადიან პერსპექტივაში; ვის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული - „საზოგადოების თუ კონკრეტული მაფიოზური კლანების“.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ დედაქალაქის ურბანული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილის თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანის წარდგენა, არის მნიშვნელოვანი გზავნილი, რადგან სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარმოდგენილია არა მხოლოდ პროფესიით არქიტექტორი, არამედ ადამიანი, რომელსაც უშუალო სპეციალიზაცია აქვს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ეს არის თბილისის, როგორც ტურისტული მიზიდულობის

ცენტრის და უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქალაქის, განვითარებისკენ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი.

რუსუდან მირზიკაშვილმა ნდობის გამოცხადებისთვის და ძალიან საპასუხისმგებლ;ო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის წარდგენისთვის, თბილისის მთავრობას მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ყველასთვის ნათელია, თუ რა შედეგი მოუტანა თბილისს ასეთი სამსახურის არარსებობამ. ფიქრობს, რომ ამ სამსახურში მომუშავე თითოეული ადამიანი და განსაკუთრებით ხელმძღვანელი პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ ქალაქის ხელისუფლების, არამედ თითოეული თბილისელის წინაშე და სწორედ აქედან გამომდინარე, საჯარო ინტერესების გათვალისწინება, ქალაქის ურბანული პოლიტიკის განსაზღვრა და წარმართვა იქნება ის ძირითადი ამოცანა, რაზეც, უპირველეს ყოვლისა, იმუშავებს აღნიშნული სამსახური. რუსუდან მირზიკაშვილმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც შეეხებოდა მის პირად პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე, სცილდება დღევანდელი საუბრის თემას, მათ შორის საყდრისთან დაკავშირებითაც, თუმცა მაინც აღნიშნა, რომ ამ საკითხში ჩართული არ ყოფილა, აღნიშნულ სფეროში კომპეტენციის და სპეციალიზაციის არქონის გამო. იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ხედვა ექნება ქალაქის ისტორიული უბნების რეაბილიტაციის მიმართ, აღნიშნა, რომ ისინი არ ფუნქციონირებს ქალქისგან განყენებულად და აქედან გამომდინარე, მუშაობის ძირითადი პრინციპია ინტეგრირებულობა და სხვადასხვა სამსახურებთან თანამშრომლობა, რადგან ამის გარეშე ვერ მოხდება კონკრეტულ უბნებში არსებული პრობლემების მოგვარება. სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე განაცხადა, რომ არა მხოლოდ ორგანიზაციების, არამედ თითოეული მოქალაქის ჩართულობა იქნება ერთ-ერთი პრიორიტეტი. რაც შეეხება გენ.გემას, განმარტა, რომ საბოლოო ვერსიის წარმოდგენის ვადა გადის რამდენიმე დღეში, რის შემდეგაც სამსახური ჩაატარებს ანალიზს და წარადგენს დასკვნას. რაც შეეხება კონკრეტულ პროექტებს, მათ შორის გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნების რეაბილიტაციას, განაცხადა, რომ მსგავსი ცალკეული საკითხები განხილული უნდა იქნას ფართო განვითარების კონტექსტში ისევე, როგორც კონსერვაციის ფართო პოლიტიკის ჭრილში, ქალაქის ისტორიულ უბნებთან მიმართებაში.

მარინა დათუკიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მას კითხვის დასმისას, კოლეგისგან განსხვავებით, არ დაუსახელებია კონკრეტული სახელები და გვარები, რუსუდან მირზიკაშვილმა მაინც აარიდა თავი კითხვაზე პასუხის გაცემას და აქედან გამომდინარე, უჩნდება განცდა, რომ ის არ არის მზად წინააღმდეგობა გაუწიოს ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ვერ მიიღო პასუხი მშენებლობის კოეფიციენტებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე და კიდევ ერთხელ დაინტერესდა, თვლის თუ არა რუსუდან მირზიკაშვილი, რომ დღეს ერთ-ერთი პრობლემა არის კოეფიციენტების გაყიდვა და უნდა აიკრძალოს თუ არა აღნიშნული.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ პასუხი არ მიუღია „პანორამა თბილისის“ პროექტზე დასმულ შეკითხვაზე და ასევე დაინტერესდა, რუსუდან მირზიკაშვილის აზით, როდის შეცდა კულტურის სამინისტრო, როდესაც საყდრისს მიანიჭა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, თუ მაშინ, როდესაც მოეხსნა ეს სტატუსი.

რუსუდან მირზიკაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ცალკეული პროექტების განხილვა უნდა მოხდეს ქალაქის ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში, რაც აქამდე არ არსებობდა და დღემდე დაშვებული ბევრი შეცდომა გამოწვეული იყო სწორედ იმით, რომ ხედვა იყო ფრაგმენტული და არა ერთიანი. მისი თქმით, ურბანული განვითარების სამსახურის შექმნა, ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან არის იმის გამოხატულება, რომ არსებობს პრობლემის სიღრმისეული გააზრება და იმის სურვილი, რომ ქალაქის მდგრადი განვითარების სწორი პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება მოხდეს ინტეგრირებული მიდგომით. რაც შეეხება კოეფიციენტების ზრდას, განაცხადა, რომ სამსახურის შექმნით, დერეგულირებული

ურბანული პოლიტიკიდან ქალაქი გადადის გარკვეულწილად სისტემატიზირებულ და რეგულირებად მიდგომაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მოხდება პრობლემების გააზრება, გაანალიზება და სწორი პოლიტიკის განსაზღვრა, რომლის ჩარჩოშიც გადაწყვეტილებების მიღება მოხდება იმგვარად, რომ თანაბრად იქნება გადანაწილებული მთელ ქალაქზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭიღლაძემ და განმარტა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარვეზის შესწორება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება და 3 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი